

## დაგვიკავშირდით მობილურობის ცენტრებში შემდეგ მისამართებზე

**თბილისი**
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მე-5 სართული, ოთახი 545
მის: თამარაშვილის ქ. 15ა, 0177, თბილისი
ტელ: (+995 32) 2600 955
ელ. ფოსტა: reintegrationgeorgia@iom.int

**ქუთაისი**
მობილურობის ცენტრი
მის: ვიქტორ კუპრაძის ქ. 7, 4600, ქუთაისი
ტელ: (+995 431) 24 44 43

**თელავი**
მობილურობის ცენტრი
თელავის მუნიციპალიტეტი, მე-2 სართული
მის: ერეკლე II-ის ქ. 16, 2200 თელავი
ტელ: (+995 350) 27 08 72

გთხოვთ, წინასწარ დაგვირეკოთ და ჩაეწეროთ კონსულტაციაზე.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ გვერდს: www.informedmigration.ge

პროექტი ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროგრამას ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ევროკავშირი შედგება 28 წევრი სახელმწიფოსგან, რომლებმაც მიზნად დაისახეს გააერთიანონ თავიანთი მიღწევები, შესაძლებლობები და ამოცანები. არსებობის 50 წლიანი ისტორიის მანძილზე მათ შექმნეს სტაბილური და დემოკრატიული გარემო, და ამავდროულად, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და პიროვნული თავისუფლება.

ევროკავშირი მზად არის გაუზიაროს საკუთარი მიღწევები და ღირებულებები მის საზღვრებს გარეთ მყოფ ერებსა და ქვეყნებს.

ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა ევროკომისია.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი



ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის 2012 წლის პროგრამა

# სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის

## მობილურობის ცენტრი

International Organization for Migration (IOM)
პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

# სარეინტეგრაციო დახმარება საქართველოში დაბრუნებული მიგრანტებისთვის



## პროექტის შესახებ

წინამდებარე ბროშურა წარმოგიდგენთ საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდგომი სარეინტეგრაციო პროგრამის ძირითად კომპონენტებს.

პროექტს ახორციელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებთან, ძირითადად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

პროექტი ითვალისწინებს საქართველოში ახლადდაბრუნებული იმ მიგრანტების მხარდაჭერას, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას.

პროექტის მიზანია სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების გრძელვადიანი რეინტეგრაციის უზრუნველყოფა.



## პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმები

**პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტს, თუ იგი**

- არის საქართველოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც გააჩნია საქართველოში ბინადრობის უფლება;
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ არალეგალურად, ან საზღვარგარეთ ჰქონდა განაცხადი თავშესაფრის მიღებაზე, ან სარგებლობდა დროებითი ჰუმანიტარული სტატუსით;
- საქართველოში დაბრუნდა მობილურობის ცენტრში რეგისტრაციამდე არაუმეტეს 6 თვით ადრე. საქართველოში ბენეფიციარის დაბრუნების თარიღი უნდა იყოს დოკუმენტურად დადასტურებული (შესაბამისი ჩანაწერი პასპორტში, ცნობა საზღვრის კვეთის შესახებ და სხვა);
- იმყოფებოდა საზღვარგარეთ 1 წელი და მეტი.

**პროექტში მონაწილეობა არ შეუძლია პირს, თუ იგი**

- საზღვარგარეთ წასული იყო ლეგალურად სასწავლო პროგრამით ან სამუშაო კონტრაქტით;
- არის IOM-ის "ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროექტის" ან სხვა სარეინტეგრაციო პროგრამის მონაწილე საქართველოში.

**შენიშვნა:** განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროექტში მონაწილეობის კრიტერიუმებს, სარეინტეგრაციო დახმარების შესაძლებლობების დადგენა და მხარდაჭერა შესაძლებელია მათ ჩამოსვლამდე, ძირითადად ეხება ჯანმრთელობასა და თავშესაფართან დაკავშირებულ საკითხებს.

## მობილური ცენტრის მომსახურება

- აეროპორტში დახვედრა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის;
- ჩამოსვლის შემდგომ პირველადი კონსულტაცია, საჭიროებების შეფასება და დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა;
- კონსულტაცია სამართლებრივ საკითხებზე;
- გადამისამართება შესაბამის სახელმწიფო ან კერძო (ჯანდაცვის, დასაქმების ხელშეწყობა, განათლების, სოციალური დაცვის და სხვ.) პროგრამებში ჩართვისათვის;
- კონსულტაცია და დასაქმების ხელშეწყობა დამსაქმებელთან დაკავშირების, შესაბამისი დოკუმენტების (CV, სამოტივაციო წერილი და სხვ.) მომზადებაში დახმარების, პროფესიულ მომზადება/გადამზადებაში ხელშეწყობის გზით;
- დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა ახალჩამოსული პირებისთვის, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში;
- სამედიცინო დახმარება სიცოცხლისათვის საშიში მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისათვის (გადამისამართება სამკურნალო დაწესებულებებში ანალიზების აღებისა და მკურნალობის მიზნით, მედიკამენტების შეძენა და სხვ.);
- მცირე ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა პროექტის იმ მონაწილეებისათვის, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი უნარ-ჩვევები და წინაპირობები (დახმარებაში მოიაზრება ტრენინგები ბიზნესის დაწყების, ორგანიზებისა და მართვის საკითხებზე, დახმარება ბიზნეს-გეგმის შედგენაში, მცირე გრანტები, კონსულტაციები).